

ბიზნეს სიახლეები

2025 წლის მეორე კვარტალში გამოქვეყნებული სიახლეები



საგადასახადო სიახლეები

! გამოქვეყნდა ახალი საჯარო გადაწყვეტილებები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებულ იქნა N132 და N133 საჯარო გადაწყვეტილებები. N132-ე საჯარო გადაწყვეტილებით განიმარტა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის (მგვ-ის ორგანიზაცია) მიერ საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროს სანაცვლოდ გაწეული მომსახურებისა და შეგროვებული ნარჩენების მიწოდების დღგ-ით დაბეგვრის, ასევე ამ საქმიანობაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის გავრცელების საკითხი.

საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, მგვ-ის ორგანიზაციისთვის მისი წევრის მიერ რეციკლირების წინასწარი შენატანის (საწევროს) გადახდის მიზანი არის ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად მართვის ანაზღაურება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მგვ-ის ორგანიზაციის მიერ, მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, საკუთარი წევრებისთვის ანაზღაურების (დადგენილი საწევროების) სანაცვლოდ მომსახურების გაწევა, რაც წარმოადგენს დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციას.

თავის მხრივ, საჯარო გადაწყვეტილებამ განმარტა, რომ შეგროვებული ნარჩენების მიწოდების საქმიანობა მგვ-ის ორგანიზაციისთვის არ წარმოადგენს ორგანიზებული ღონისძიების ფარგლებში საქონლის მიწოდებას და შესაბამისად იგი არ თავისუფლდება დღგ-ისგან. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მგვ-ის ორგანიზაცია არის მწარმოებლების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს ისეთი პროდუქტის მწარმოებლის ვალდებულებას, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, კერძოდ, პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან, აღდგენასთან (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. N133-ე საჯარო გადაწყვეტილებით განიმარტა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის გავრცელების საკითხი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლეთათვის კვების ან/და ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის ოპერაციასთან მიმართებაში.

საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურება წარმოადგენს განათლების მომსახურებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დამატებით მომსახურებას, ვინაიდან უსაფრთხო გადაადგილებასთან ერთად აღნიშნული მომსახურებით უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვა. შესაბამისად აღნიშნული მომსახურება გათავისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

რაც შეეხება კვების მომსახურებას, საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე, თუ აღნიშნული მომსახურება განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, გამართულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება № 132 და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება № 133

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 30 მაისი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/f8eb70f2-1fc3-42d2-a662-1c505b64b661>

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/af523ca1-6996-4669-a57c-9847a67f1df7>

! შეიცვალა საპენსიო შენატანების დეკლარირების წესი

2025 წლის მაისიდან ძალაში შევიდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები.

შეიცვალა საპენსიო შენატანების დეკლარირების წესი. კერძოდ, აღნიშნული პერიოდიდან დამსაქმებლების/თვითდასაქმებულების მიერ საპენსიო შენატანების დეკლარირება აღარ ხორციელდება საპენსიო სააგენტოს ელექტრონული პორტალიდან. ნაცვლად ამისა, აღნიშნული პირები საპენსიო შენატანების დეკლარირებას ახორციელებენ გადასახადის გადამხდელის პორტალიდან, ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის მეშვეობით. რაც შეეხება უშუალოდ შენატანის განხორციელებას, საპენსიო შენატანის თანხა საპენსიო ფონდის შესაბამის ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს არაუგვიანეს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენის დღისა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის მიზნებისთვის, თვითდასაქმებულად, ინდივიდუალურ მეწარმესთან ერთად, მიჩნეულ იქნა ასევე ის დასაქმებულიც, რომლის დამსაქმებელს არ ევალება ხელფასიდან (გადახდის წყაროსთან) საშემოსავლო გადასახადის დაკავება. მაგალითად, ასეთი ტიპის დასაქმებულს შესაძლოა წარმოადგენდეს პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს დაქირავებით მუშაობას/მომსახურების გაწევას, მაგრამ მის მიერ მიღებული ანაზღაურება არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას. აღნიშნული პირები, მსგავსად ინდივიდუალური მეწარმისა, საპენსიო შენატანს განახორციელებენ შემოსავლის 4 პროცენტის ოდენობით. საპენსიო შენატანის თანხას მოცემული პირები საპენსიო სააგენტოს შესაბამის ანგარიშზე რიცხავენ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის დღეს.

გემოაღნიშნული პერიოდიდან განსხვავებულად ხორციელდება საპენსიო შენატანების ადმინისტრირებაც. კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენა ხორციელდება ავტომატურად შემოსავლების სამსახურის სისტემისა და საპენსიო ფონდის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ინფორმაციის მიმოცვლის შედეგად.

ნორმატიული აქტი: „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 მაისი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/385cc446-fa38-40f4-b751-92c22d7843b7>

! არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებისთვის შეიზღუდა დღგ-ის ჩათვლის მიღება საბაჟო დეკლარაციით

2025 წლის 1 აპრილიდან, არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოწერა/დადასტურებასთან და ჩათვლის მიღებასთან ერთად, შეეზღუდათ ასევე საბაჟო დეკლარაციის გამოყენების უფლება დღგ-ის ჩათვლის მიღების მიზნით.

როგორც მოგეხსენებათ, გადასახადის გადამხდელს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი ძირითადად ენიჭება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისას, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა) ან წარადგინა, მაგრამ დეკლარაციის საფუძველზე დასარიცხი გადასახადის თანხა ერთ ლარს არ აღემატება და ამასთან პირის მიერ კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის უკანასკნელი მინიჭებიდან გასულია 6 კალენდარული თვე.

ნორმატიული აქტი: „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის №3751 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 აპრილი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/a12a26a4-bd16-417a-93be-a89d1fb6d49d>

! შეიცვალა საგადასახადო დოკუმენტით სარგებლობის წესი

2030 წლის 1 იანვრამდე შეიზღუდა იმ პირთა წრე, რომლებიც შეძლებენ საგადასახადო დოკუმენტით სარგებლობას. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდამდე საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მხოლოდ შემდეგი პირის მიერ:

- რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად და ახორციელებს მომსახურების გაწევას;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იმ პირის მიერ, რომელსაც 2025 წლის 1 მაისამდე გამოწერილი ჰქონდა ავანსის საგადასახადო დოკუმენტი და ახორციელებს შესაბამისი მომსახურების გაწევას/საქონლის მიწოდებას მიღებული ავანსის სანაცვლოდ;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს 2025 წლის 1 მაისამდე გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის კორექტირებას;

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 მაისი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/bc8e7ca7-9bee-4bbd-ac9c-9cb5d8bec8d7>

! სავალდებულო გახდა NCTS დეკლარაციის გამოყენება

2025 წლის 15 მაისიდან, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის/გარე გადამუშავების საბაჟო პროცედურით ან რეექსპორტით საქონლის გატანისას (საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტით), სავალდებულო გახდა საქონლის „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ შევსებული ტრანზიტის დეკლარაციის საფუძველზე გადაადგილება.

ამასთან, აღნიშნული ვალდებულება ტრანზიტის პროცედურაში მოქცეულ საქონელზე გავრცელდება 2025 წლის 1 ივლისიდან.

ნორმატიული აქტი: „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N257 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 15 მაისი/1 ივლისი

წყარო: <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/d983c0b1-074c-42fa-8791-c3b3f356aecc>

<https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/702d502f-1d62-4c09-a4f2-2c08d1df941b>

**ცვლილებები შევიდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, გრანტის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით**

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით, განისაზღვრა გრანტის ცნება განახლებული რედაქციით, კერძოდ, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარების ან სოციალური პროექტის, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამის განხორციელებისთვის. გრანტად მიიჩნევა გრანტის მიმღებისთვის გაწეული ტექნიკური დახმარება ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების ან/და სხვა სახის დახმარების ფორმით.

ცვლილებით განისაზღვრა გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის წერილობითი ხელშეკრულება (განუჩინებლად იმისა, იგი ერთი დოკუმენტით არის წარმოდგენილი თუ რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით, და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა), აგრეთვე უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) წერილობითი გადაწყვეტილება, მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილება საქართველოს სპორტული ფედერაციისთვის ან კლუბისთვის მიზნობრივი დანიშნულების მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების (მათ შორის, ფულადი სახსრების) გამოყოფის შესახებ. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს გრანტის გაცემის მიზანი, მისი მოცულობა, სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულება, მათი ათვისების ვადები და ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც გრანტის გამცემი (დონორი) უყენებს გრანტის მიმღებს.

კანონით განისაზღვრა, რომ უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ, გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან ან მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

ნორმატიული აქტი: „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 12 ივნისი

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6524750?publication=0>

**ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ცილისწამების საქმისწარმოების პროცედურასთან დაკავშირებით**

საკანონმდებლო ცვლილება ცილისწამებასთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესში განსაზღვრავს ვადებს, მოსარჩელემ ცილისწამებასთან დაკავშირებული სარჩელი უნდა შეიტანოს იმ დღიდან 100 დღის ვადაში, როცა მოსარჩელე გაეცნო ან შეეძლო გაცნობოდა განცხადებას, რომელსაც ცილისწამებად მიიჩნევს. ცილისწამებასთან დაკავშირებული დავა სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, იმ მომენტიდან, როდესაც განცხადება მიიღება. პირს უფლება აქვს, ამ მუხლით გათვალისწინებული სარჩელით მოითხოვოს მისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. ცვლილება შეეხო მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხსაც.

ნორმატიული აქტი: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

წყარო: <https://matsne.gov.ge/document/view/6543793?publication=0>



ცვლილება შევიდა საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსზე ან მოსამსახურებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსზე ან ამ სამსახურის მოსამსახურებზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება მისი სამსახურებრივი საქმიანობისთვის ხელის შეშლის მიზნით, ისტება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 01 ივლისი

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6535280?publication=0>



ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საპენსიო ვალდებულებების დარღვევის საკითხებზე

კოდექსის ცვლილებით განისაზღვრა, რომ დამსაქმებელს, რომელმაც დაარღვია საპენსიო შენატანის ვალდებულება (165¹¹ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა), ადმინისტრაციული ჯარიმა შეიძლება დაეკისროს დარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

მუშაობის პროცესში დეკლარაციის დაზუსტება/შესწორება, რომლის საფუძველზეც დამსაქმებელი სრულად გადაიხდის დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებულ თანხას, ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება. სახელმწიფო ხაზინაზე მყოფი ორგანიზაციას სახდელი დაეკისრება, თუ ვალდებულებას არ შეასრულებს საპენსიო ფონდის წესის შესაბამისად. ასევე განისაზღვრა, რომ საპენსიო ფონდი საპენსიო შენატანებთან დაკავშირებული დარღვევის შემთხვევაში თავად გასცემს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს, რომელიც სამართალდარღვევის ოქმის ძალასაც ატარებს. ეს სანქციები ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, რომლებიც კანონის ამოქმედებამდე მოხდა.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

წყარო: <https://matsne.gov.ge/document/view/6541643?publication=0>